ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრის, ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის

ბექა დავითულიანის

2017 - 2018 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

ფრაქციული მუშაობა

მე-6 მოწვევის საკრებულში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ყველაზე დიდი ფრაქციაა და იგი 33 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იკრიბება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება. მიმდინარე წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) ფრაქციას ჩატარებული აქვს **33** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **53** საკითხი.

2017 დეკემბერი - 2018 ოქტომბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხები თარიღების მიხედვით

თარიღი	საკითხი
1.10.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ“.
10.09.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 სექტემბრის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ“.
9.08.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ“.
31.07.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის შესახებ“
26.07.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ“.
19.07.2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის განხილვის შესახებ“ 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ელექტრონული რუკის პრეზენტაციის შესახებ“ (მომხსენებელი: გ. ტყემალაძე) 3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია“ (მომხსენებლი: ა. ლაშხი)
3.07.2018	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები; (მომხს. კ. კალაძე) 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა; (მომხსენებელი: მ. ბითაძე) 3. ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა. (მომხსენებელი: ი. ხმლაძე)
25.06.2018	„თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული

	პრობლემები“.
18.06.2018	„დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები“.
11.06.2018	„თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვა“.
6.06.2018	1. „IRI“-ს კვლევების პრეზენტაციის საკითხი; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)“.
24.05.2018	„შპს „ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.
21.05.2018	1. „ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონში არსებული 16 ლოკაციისთვის სახელის მინიჭების საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ“; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსებთან შეხვედრის ორგანიზება კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით“.
17.05.2018	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)
14.05.2018	„ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის ანგარიში“.
8.05.2018	1. „პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის გამართვისათვის გასატარებელი საორგანიზაციო საკითხების შესახებ“; 2.“ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ“; 3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობის ანგარიში“.
3.05.2018	1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ“; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის

	დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში“; 3. „ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონსი 18 ლოკაციისათვის სახელის მინიჭების საკითხი“.
23.04.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის საქმიანობის ანგარიში“.
12.04.2018	1. „ჩუღურეთის რაიონში განხორციელებული პროექტის „დასაქმდი შენს უბანში“ შესაძლო ადაპტაცია სხვა რაიონებში“; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებელის თანამდებობიდან წასვლის საკითხი“; 3. „გენერალური გეგმის ხელშეკრულების გადავადება“; 4. „ფრაქციის ფორმატში კომისიების საქმიანობის ანგარიშების წარდგენა“.
2.04.2018	„ ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და სითი ინსტიტუტთან შესაჯერებლად ქ.თბილისის მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნა“.
5.03.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და ქ. თბილისის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავება“.
28.02.2018	„ფრაქციის წევრთა შორის უკეთესი კომუნიკაციისთვის ახალი ფორმატის შემუშავების შესახებ“.
19.02.2018	1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები“; 2. „დაგეგმილი პროექტების სწორი პოზიციონირებ“; 3. „საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებთან დაკავშირებული (საკადრო) საკითხები და გახსნის კამპანია“; 4. „შშმ პირებისათვის მაჟორიტარების მხრიდან ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა“.
24.01.2018	1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“.
23.01.2018	„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“. (მომხსენებელი: ი. ელოშვილი)“.
14.01.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების საშტატო ნუსხების

	დამტკიცების შესახებ“.
13.01.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონული გამგეობების საშტატო ნუსხების დამტკიცების შესახებ“.
11.01.2018	„თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ“ „ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცის „ქართული ოცნება - დმოკრატიული საქართველო“ წევრების სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებული გეგმებისა და წინადადებების შესახებ“
27.12.2017	1. „საახალწლო ღონისძიებებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ჩართულობის შესახებ“. 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2018 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“ 3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების 2018 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებები“
15.12.2018	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის ჩატარების პროცედურების შესახებ“
12.12.2017	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“.
5.12.2018	„ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ“
1.12.2017	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ოფისების ფუნქციური სრულყოფის შესახებ“ (მომხს. ნ. ლაცაბიძე) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების შესახებ“

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2018 წლის განმავლობაში დავესწარი საკრებულოს 27 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 29 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 424 დადგენილება და 397 განკარგულება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge.

- კანონის შესაბამისად, გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით, გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 21 სხდომა, რომელზეც დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 29 საკითხი განიხილეს. 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით, როგორც კომისიის წევრმა, მონაწილეობა მივიღე და დავესწარი განათლებისა და კულტურის კომისიის 15 სხდომას, სადაც განვიხილეთ დღის წესრიგებით გათვალისწინებული 21 საკითხი, მათ შორის:

თარიღი	საკითხი
17.11. 2017	„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031731944-03); ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბადრი გიორგიძის დანიშვნის თაობაზე თანხმობს მიცემის შესახებ (19-031732038-03)“
20.11.2017	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-031731434-03; 10.11.2017).“
5.11.2017	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

	შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031733421-03; 30.112017).“
14.11.2017	1.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031734272-03-08/12/2017). 2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' (12-03173414-03;07.12.2017); 3. ,,ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.
26.11.2017	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-031735686-03; 22.12017).
16.01.2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა; (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა). 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა.“
21.02.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვა (12-031804637, 15.02.2018).
30.03.2018	,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქ.

	თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილი: №12-03180797-03; 20.03.2018).
13.04.2018	1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების საკითხი; 3. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადება ქართველი პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.
12.06.2018	,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031815226-03; 01.06.2018).“
25.06.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - ,,კულტურული ღონისძიებები'' (კოდი: 0 05) - ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.“
20.07.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ (ს/კ 404967087) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.“
27.07.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
17.08.2018	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

	ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის (პ/ნ 01024044237) დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (N12-031822769-03).
25.09.2018	სსიპ ქალაქ თბილისის 106-ე საჯარო სკოლისთვის ზურა იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე (19/031826467-03; 24.09.2018).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 30 სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 177 საკითხი.

- საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 137 ცვლილება (დღის წესრიგით გათვალისწინებული 16 პროექტი), აქედან დადებითი რეკომენდაცია მიეცა 125 ზონალურ ცვლილებას, 3 ფუნქციული ზონალური ცვლილება გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 9 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება.
- კომისიის სხდომებზე განხილულ და შესწავლილი იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების **46 პროექტი** (39 დადებითი, 4 უარი, 3 გადადებულია დამატებითი შესწავლის მიზნით).
- მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულომ, მერიის შესაბამის სამსახურებთან და კომპანია „სითი ინსტიტუტთან“ ერთად, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე დაიწყო აქტიური მუშაობა

და ძირეული შესწავლა, დოკუმენტის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით. მე, როგორც უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული მიმდინარე სამუშაოებში. შემუშავდა რეკომენდაციები და გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა 2019 წლიდან ამოქმედდეს დედაქალაქის ინტერესებზე მორგებული და სრულყოფილად გამართული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

მივლინებები

- 2018 წლის 14 თებერვალს, ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ბექა დავითულიანმა, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ქავთარაძემ და თბილისის საკრებულოს კულტურისა და განთლების კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა. ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე მოხესენება წარმოადგინა კონგრესის წევრმა სტიუარტ დიქსონმა საქართველოში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თაობაზე და დადებითად შეაფასა არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების პროცესი, ევროპული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით.
- 2018 წლის 26-28 მარტს ქ.სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის 34-ე სესია გაიმართა, სადაც გახლდით საქართველოს დელეგაციის წევრი.

  კონგრესის 34-ე სესიის ფარგლებში საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა სხვადასხვა თემატურ შეხვედრებსა და დისკუსიებში, მათ შორის: ადამიანის უფლებების ხელშეწყობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე; ერის სახელმწიფოებრივი იდენტობა და მთლიანობა; დაუცველ ლტოლვილ ბავშვებთან მიმართებით ადგილობრივი ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა; ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებასთან დაკავშირებული საერთო გამოწვევები სახელმწიფოში.
- 2018 წლის 28 ივნისს, თურქეთის ქალაქ სტამბოლში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრა

გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა, ჩემთან ერთად, ასევე მიიღო საკრებულოს კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა და ქ.რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ქავთარაძემ.

სხდომის ერთ-ერთ საკითხად საქართველოს შესახებ ანგარიშის პროექტი განიხილებოდა, რომლის თაობაზეც მოხსენებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ევროპის საბჭოს რეგიონთა პალატის წევრი სტიუარტ დიქსონი. მან თავის გამოსვლაში საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების თვალსაზრისით, საქართველომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

- 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 3 სექტმბრის ჩათვლით სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ბელარუსის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკში. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საკრებულოს წევრები. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შევხვდით მინსკის საკრებულოს წარმომადგენლებს და ვისაუბრეთ ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივებზე. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალის „თბილისობა-2018“ ოფიციალურ გახსნაში და დავესწარით მასპინძლების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ღონისძიებებს.

უნდა აღნიშნოს, რომ ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა და ჩვენს ბელარუს კოლეგებთან ერთად, ყურადღება გავამახვილეთ მინსკისა და თბილისის ურთიერთობის სამომავლო ინიციატივებსა და ერთობლივ პროექტებზე.

აქტივობები და ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მივიღე მონაწილეობა „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ ორგანიზებულ რამდენიმე ტრენინგში.

კერძოდ:

- 2018 წლის 7-8 თებერვალს თბილისის საკრებულოს ახლადარჩეული წევრებისათვის შედგა საორიენტაციო ტრენინგი სასტუმრო „ლოპოტა

რეზორტში“, სადაც გავიარეთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები საკრებულოს საქმიანობის, ფრაქციული მუშაობისა და მუნიციპალური ბიუჯეტირების ირგვლივ.

- 2018 წლის 28-29 მაისს, ბორჯომში გამართული ტრენინგის ძირითადი მიმართულებები იყო ფრაქციის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ფრაქციის სტრატეგიის შემუშავება და ა.შ.
- 2018 წლის 22-23 ივნისს, კაჭრეთში თბილისის საკრებულოს წევრებისათვის გაიმართა ტრენინგი - “ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტირება“. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება დადებითად აისახა საკრებულოს ფრაქციის მუშაობის პროცესზე.

➢ 2018 წლის 13 ივლისს შედგა გასვლითი შეხვედრა გუდაურში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თბილისის მერიისა და „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესახებ ვიმსჯელეთ. სამუშაო ფორმატში მიმოვიხილეთ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, ზონირების რუკის კორექცია და გეგმარებითი შეზღუდვები. შეხვედრის პროცესში ვიმსჯელეთ სამოქმედო გეგმასა და სხვადასხვა სახის რეკომენდაციებზე, რომელიც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტში უნდა აისახოს.

✓ საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის უმრავლესობის ფრაქციამ, ჩემი ხელმძღვანელობით, უმასპინძლა ბელარუსის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკისა და სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევნის საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

✓ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში მივიღეთ ისრაელის ლიდერთა ცენტრ „ახალგაზრდა ელჩების“ სტუდენტთა დელეგაცია, რომელსაც ესწრებოდა ისრაელის ელჩი საქართველოში შაფთაი ცური.

შეხვედრაზე სტუდენტებს გავაცანით თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მმართველობის ფორმა და ფუნქციები. დასასრულს, სტუმრებს სპეციალური საჩუქრები გადაეცათ.

- ✓ 2018 წლის 7 სექტემბერს, თბილისის საკრებულოს წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე პროგრესული ალიანსის'' (PA) საერთაშორისო კონფერენციაში ,,შრომის პერსპექტივები ციფრულ ეპაქაში".

  ორდღიანი კონფერენცია ეძღვნებოდა გლობალურ გამოწვევებს, კერძოდ, შრომის პერსპექტივებს თანამედროვე ციფრულ ეპოქაში და საქართველოში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა უმუშევრობა. ასევე განვიხილეთ ალიანსის წევრი ქვეყნების რეგიონალური თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პერსპექტივები.